,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს 180/01-01 ბრძანების საფუძველზე და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის 50/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N3 ოქმი

ქ. თბილისი თსუ-ის მე-3 კორპუსი, აუდიტორია 110 13 ოქტომბერი 2025 წელი

19:30 – 20:30 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის უკლებლივ ყველა წევრი:

1. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი დავით წამალაშვილი (კომისიის მდივანი);
4. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირმა გრძელიძე
5. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ჩიქოვანი

დღის წესრიგი:

1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს 180/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.**
2. **კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტთა გამოსვლის შედეგების შეფასება.

ა) ინტერდისციპლინური კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული(კატეგორია „ბ") - რუსუდან სანაძე

შეფასების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ-ნმა რუსუდანმა ყველა კატეგორიაში დაიმსახურა შეფასება „მაღალი“. კომისიის შეფასებით, კონკურსანტს ვაკანსიის პროფილით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, კითხულობს კურსებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. განსახილველად წარდგენილი სილაბუსები შინაარსითა თუ ფორმით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები თანხვდება განათლების დარგში აქტუალურ სამეცნიერო ტენდენციებს. პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. გასაუბრების ეტაპზე ქ-ნმა რუსუდანმა პროფესიულად, მაღალკვალიფიციურად გაშალა მსჯელობა სამეცნიერო კონცეფციის შესახებ, მკაფიოდ დაანახა კავშირი საკუთარ კვლევით ინტერესებსა და ინტერდისციპლინური კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო სტრატეგიას შორის, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარებისთვის.

ამდენად, კომისია თვლის, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

ბ) პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი- 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) - ეთერ ღვინერია

შეფასების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ-ნმა ეთერმა ყველა კატეგორიაში დაიმსახურა შეფასება „საშუალო“. კომისიის შეფასებით, კონკურსანტს ვაკანსიის პროფილით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, კითხულობს ძირითადად სწავლების მეთოდების კურსს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე. განსახილველად წარდგენილი სილაბუსიც სწორედ ამ სწავლების მეთოდების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი კურსია, რომელიც შინაარსითა თუ ფორმით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები მიემართება მის სასწავლო გამოცდილებას და თსუ-ის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან სწავლების მეთოდების ლექცია-სემინარებზე აქტიური გამოყენების პრაქტიკების კვლევაზეა ორიენტირებული. სამეცნიერო პუბლიკაციები ძირითადად გამოქვეყნებულია ადგილობრივ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. გასაუბრების ეტაპზე ქ-ნმა ეთერმა გამოავლინა მსჯელობისა და გადმოცემის მაღალი კულტურა, ხაზი გაუსვა დეპარტამენტის ფარგლებში კოლაბორაციული კვლევების ჩატარების მნიშვნელობას. კომისიის შეფასებით, მისი კანდიდატურა თანხვედრაშია უმაღლესი სკოლის სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ამდენად, კომისია თვლის, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

გ) მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) იზაბელა პეტრიაშვილი

შეფასების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ-ნმა იზაბელამ ყველა კატეგორიაში დაიმსახურა შეფასება „მაღალი“. კომისიის შეფასებით, კონკურსანტს ვაკანსიის პროფილით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, იგი რამდენიმე ათეული წელია მაღალ დონეზე კითხულობს კურსებს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე და ემსახურება მომავალი სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადებას თსუ-ში. განსახილველად წარმოდგენილი სილაბუსები სრულად უპასუხებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს, მისი გამოცდილება და საერთაშორისო იმპაქტი კი მნიშვნელოვანი ღირებულებაა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტისთვის. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები თანხვდება მასწავლებელთა განათლების მიმართულებით აქტუალურ სამეცნიერო ტენდენციებს. პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. გასაუბრების ეტაპზე ქ-ნმა იზაბელამ მაღალკვალიფიციურად იმსჯელა საკუთარი

სამეცნიერო კონცეფციის შესახებ. კომისიამ მკაფიოდ დაინახა, მისი, როგორც ლექტორისა და მეცნიერის პროფილის შესატყვისობა სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების დარგის განვითარების მიზნებთან.

ამდენად, კომისია თვლის, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კომისიის ხელთ არსებული დოკუმენტაციისა და ოქმების გულდასმით გაცნობის, შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე. აღნიშნული კენჭისყრა ჩატარდა ყველა პროცედურული წესის დაცვით - მომზადდა და დარიგდა 5 ბიულეტენი, ბიულეტენის ჩასაყრელი ყუთი, რომელიც დაილუქა. კომისიის წევრებს სხდომის ოთახში ჰქონდათ საშუალება გამოყოფილ კუთხეში გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი და ბიულეტენი მოეთავსებინათ ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის წევრების მიერ გაიხსნა დალუქული ყუთი.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) თანამდებობაზე რუსუდან სანაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

<u>გადაწყვეტილების დასაბუთება:</u>

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ეფუძნება ქ-ნი რუსუდანის მიერ გამოვლენილ ღრმა პროფესიონალიზმს, მის სამეცნიერო მიღწევებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა თუ კვლევით პროექტებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი მნიშვნელოვანი წვლილი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდასა და გამრავალფეროვნებაში, რაც მისი საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების დამსახურებაა. შესაბამისად, მის აკადემიური პროფილი დაეხმარება განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარებას.

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) თანამდებობაზე ეთერ ღვინერიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

<u>გადაწყვეტილების დასაბუთება:</u>

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ეფუძნება ქ-ნი ეთერის მრავალწლიან სასწავლო-მეთოდურ გამოცდილებას განათლების მეცნიერებების დარგში. მისი აკადემიური პროფილი მნიშვნელოვანია თსუ-ის განათლების მიმართულებისათვის, რადგან ქ-ნი ეთერს აქვს სკოლამდელი განათლების საფეხურზე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესების კვლევის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. მისი აკადემიური პროფილი მნიშვნელოვანი რესურსია სადოქტორო საფეხურზე სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და პრაქტიკის შესწავლის თვალსაზრისით. შესაბამისად, მის აკადემიური პროფილი დაეხმარება განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარებას.

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) თანამდებობაზე იზაბელა პეტრიაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

<u>გადაწყვეტილების დასაბუთება:</u>

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ეფუძნება ქ-ნი იზაბელას მიერ გამოვლენილ მდიდარ პროფესიულ გამოცდილებას, მის სამეცნიერო მიღწევებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში. ქ-ნი იზაბელას მიერ შემოთავაზებული სალექციო კურსები შესაძლებლობას იძლევა მისი, როგორც კვალიფიციური სპეციალისტის, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წამყვან აკადემიურ პერსონალად მოაზრებისა. ხაზგასასმელია კონკურსანტის მნიშვნელოვანი საერთაშორისო კავშირები განათლების დარგში მომუშავე მაღალკვალიფიციურ პროფესურასთან, რაც სამომავლოდ საერთო სამეცნიერო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, მის აკადემიური პროფილი დაეხმარება განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარებას.

დაადგინეს:

- „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ქ-ნი რუსუდან სანაძე;
- „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ქ-ნი ეთერ ღვინერია;
- „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ქ-ნი იზაბელა პეტრიაშვილი;

- შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი №3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი / ზ. ქიტიაშვილი /

თავმჯდომარის მოადგილე: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი / ქ. ჭკუასელი /

წევრები:

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ჩიქოვანი / რ. ჩიქოვანი /

ასოცირებული პროფესორი ირმა გრძელიძე / ი. გრძელიძე /

კომისიის მდივანი: ასისტენტ პროფესორი დავით წამალაშვილი / [illegible] /

13 ოქტომბერი 2025 წელი